ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

ო ქ მ ი N12

სხდომის ჩატარების დრო:
27 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ვალერი სილაგაძე.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია**

ბასილაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **მრჩევლები-ლაშა გვენეტაძე** და **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი**, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**, საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია**, საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიო ჯელატოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9. ევროკავშირისა(„EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის “ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი-ს შექმნის მიზნით კონკურსის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში („UNDP“)-სგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შედის ცვლილება, კერძო გადამზიდავებს 22-25%-ით უმცირდებათ სანებართვო მოსაკრებელი ერთ ავტობუსზე, დღიური ოდენობით, ხაზების მიხედვით."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „როგორც ვიცით პანდემიასთან დაკავშირებით იყო პრობლემები, რიგ გადამზიდავებს დაუგროვდათ დავალიანება და ვეღარ ახერხებდნენ ამის გადახდას და გადადგეს ნაბიჯი, გააიაფეს საფასური 25%-ით, სადაც რეალურად ფასდაკლებულია 15% და დანარჩენი 10% წარმოადგენს იმ ძველ დავალიანებას, რომლის ამოღებაც, ასე ვთქვათ, ამ ფორმით მოხდება."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „2022 წლის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილება საქმიანობას წარმართავდა სამსახურის დებულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, გაეროსა და ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მეორე ფაზის და სტრატეგიების ფარგლებში. ძირითადი მიმართულებები: ტრანსფორმაციის პორტფელის ფორმირება, SECAP, 17 SDG, საინვესტიციო პორტფელი. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროკავშირის (EU) პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ფარგლებში აქტიურად გრძელდება მუშაობა გამარჯვებულ საგრანტო კონკურსის „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი"-ს საწყისი ინიციატივების ჩამოყალიბებაზე საქალაქო გუნდთან ერთად. მერიის ჯგუფსა და CHORA ფონდის ექსპერტებთან ერთად ამ ეტაპზე გაიმართა 28 ონლაინ სამუშაო სესია. „ქუთაისი - ეკო სმარტ ქალაქი"-ს ტრანსფორმაციის პორტფელისათვის შემუშავდა 3 ინიციატივა 9 საპროექტო პოზიციით და იწყება მუშაობა პირველი საცდელი სადემონსტრაციო აქტივობებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს განზრახულობის მიღწევას ქუთაისი სმარტ გადაწყვეტილებებით, ინოვაციური მიდგომებით და მწვანე ქცევების დამკვიდრების სტიმულირებით გახდეს მდგრადი, ეკო და უპასუხოს როგორც ქალაქის გენერალური გეგმის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების 17 SDG მიზნებს. იმერეთის მეცნიერთა კავშირი „სპექტრის" და იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით განვახორციელეთ აქტივობები: უშუალო ინტერვიუების სახით გამოვკითხეთ გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე 15 ექსპერტ-სპეციალისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციალური პლატფორმით ონლაინ გამოკითხვის ფორმატში 100 მოქალაქე სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის მიხედვით. ძირითადი თემა გახლდათ ქუთაისის გარემოს, ეკოლოგიის, მდგრადობის თვალსაზრისი. მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები განზოგადებული სახით დავამუშავეთ და ვითვალისწინებთ „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელის" ფორმირებისათვის. 5 ივნისს გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან (WED) დაკავშირებით ერთობლივად ჩავატარეთ ღონისძიება „ქუთაისი-ეკო სმარტ ქალაქი" და საკუთარი მხარდამჭერი ხმა მივაწვდინეთ მსოფლიოს ქალაქებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის N2, N28, N33, N3 საჯარო სკოლების, ქუთაისის ვორლდ ვიჟენ საქართველოს მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის, მოსწავლე ახალგაზრდული ცენტრის მოსწავლეები. მონაწილეებმა ასფალტზე ცარცით ხატვით შეასრულეს საკუთარი ხედვები და სურვილები გარემოსდაცვის თემაზე. საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მწვანე ცხოვრების წესზე და გარემოს წინაშე არსებული პრობლემების თემატიკაზე გამოფენილი იყო ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები, გაიმართა ეკო პლენერი, მოქალაქეებს დაურიგდათ „ქუთაისი - ეკო სმარტ ქალაქი"-ს ტრანსფორმაციის პორტფელის ძირითად მიმართულებებზე საინფორმაციო ფლაერები. ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი

„სპექტრი“-ს სახელით გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. 8 ივნისს ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად შევხვდით ქუთაისში სამუშაო ვიზიტით მყოფ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სტამბულის ინოვაციების ჰაბის გუნდის წარმომადგენელს იერა ჩანგის (Yaera Chang) და UNDP თბილისის ოფისის პროექტების მენეჯერს თინათინ ტყეშელაშვილს. გავაცანით ქუთაისის კარგი პრაქტიკა ენერგოეფექტური ღონისძიებების კუთხით, ადგილზე გასვლით სტუმრები გაეცნო ნარჩენების სეპარირების ცენტრის, შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის, იმერეთის DMO-ს, გარე განათების ქსელების ექსპლუატაციისა და მიმდინარე კაპიტალური სამუშაოების პროცესში შენობების ფასადებზე გამოყენებული XPS დათბუნების პანელების სპეციფიკას. 28 ივლისს მონაწილეობა მივიღეთ UNDP და ევროკავშირის ინიციატივით ქუთაისში გამართულ საერთაშორისო ფორუმში “Show & Tell”, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთევროპის პარტნიორ ქვეყნებში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში მიმდინარე ინიციატივას „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი“, სადაც მონაწილეობა ჰიბრიდული სისტემით მიიღო 5 ქვეყნის 300-მდე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა. გრძელდება მუშაობა პოტენციურ ინვესტორთათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების პორტფოლიოს მომზადებაზე (5 მსხვილი საინვესტიციო ლოკაციის მაგალითზე) პოლონეთის რესპუბლიკის განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავებული მოდელის მიხედვით. პროექტი მესამე წელია წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთობლივად. ადგილობრივ მეწარმეთა ხელშეწყობის, მათი ნამუშევრებისა და წარმოებული პროდუქციის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობისათვის ქალაქის მთავარ ბულვარში რამოდენიმეჯერ გაიმართა სამეწარმეო მარკეტი, გამოფენა-ბაზრობები, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ მეწარმეთა მოტივაციას და პოპულარიზაციას. იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად სისტემატურად ვახორციელებდით ადგილობრივ მეწარმეთა ელექტრონული სახით ბიზნეს საკონსულტაციო სერვისებით მომსახურებას გამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის ხელშეწყობის მიზნით („აწარმოე საქართველოში“, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტები და სხვა). გავრცელებულ იქნა ინფორმაციები „ქალების ბიზნეს შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაზე“, „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობაზე“, „საწარმოებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობ პროგრამაზე“, „ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამაზე“, „შრომის უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებზე“, მიმდინარე საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებზე და სხვა. წელს საქალაქო სამსახურებთან თანამშრომლობით პირველად ვგეგმავთ გაეროს გლობალური დღის წესრიგით დამტკიცებულ მდგრადი განვითარების 17 SDG მიზნების შესრულების გაზომვას, რომლის მიღწევის ხელშეწყობასაც ემსახურება ქუთაისის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 26 ადგილობრივი საბიუჯეტო პროგრამით SDG -ს 6 მიზნისთვის. დაგეგმილი გვაქვს წლის ბოლოს ეროვნული გეგმის ანგარიშგების პროცესში წარვადგინოთ ქუთაისში ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების კუთხით ანგარიში. ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმების“ ფარგლებში კავკასიის გარემოსდაცვით ცენტრთან (REC CAUCASUS) ერთად მიმდინარეობს მუშაობა კლიმატის ცვლილების საადაპტაციო და სამიტიგაციო ელექტრონული ბაზების ფორმირებისათვის მუნიციპალურ შენობებზე, მუნიციპალურ ტრანსპორტზე და გარე განათებაზე. შესაბამისი ფორმატით დამუშავებული ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს გავზომოთ ქალაქის მიერ აღებული ვალდებულებები კლიმატის

ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებაზე. „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო“-სთან ერთობლივად შემუშავდება ქუთაისის თვითმმართველობის 2022 ინდექსი სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. ქალაქის მერიისა და სამეცნიერო უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განვახორციელეთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიღება სტაჟირებისა და პრაქტიკის კურსის პროგრამების მიხედვით; სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ტრენინგების საშუალებით. (საჯარო ბიუროს თემატური ონლაინ ტრენინგები; „კერძო-საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება ეკონომიკური განვითარებისათვის“; „მუნიციპალიტეტების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ეკონომიკური განვითარება“, UNDP-ის ორგანიზებული „ურბანული გარდაქმნის ინსპირაციები“, მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“-ს ორგანიზებული „ნარჩენების ეფექტური მართვა-სუფთა შავი ზღვა“, ფინანსთა სამინისტროს აკადემია „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება“ და სხვა). 2022 წლის მარტისა და აპრილის თვეებში სამსახურის ტრანსპორტის მიმართულების პროფესიული საჯარო მოხელეების ორგანიზებით საქალაქო მარშრუტებზე ჩატარდა მგზავრთნაკადის კვლევები. მიღებული მონაცემებით მომზადდა ანგარიში, რომლის გამოყენებით დაზუსტდა მარშრუტებზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასების ოდენობები. კვლევის შედეგებით შემუშავდა რამდენიმე ახალი მარშრუტის სქემა და ასევე მოქმედ მარშრუტებზე განისაზღვრა ყოველდღიურად საჭირო ავტობუსების ოპტიმალური რაოდენობები. მომზადდა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილების N2 დანართში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასები“ ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მომზადდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მომზადდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. დამუშავდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების რამდენიმე ახალი სქემა, ასევე რიგ მოქმედ მარშრუტებზე მოხდა სქემების მოდერნიზაცია და დაზუსტდა ყოველდღიურად მომუშავე M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების რაოდენობა. ქალაქის მასშტაბით ჩატარდა მგზავრთა მოსაცდელების (სულ 111 ერთეული) მდგომარეობის მონიტორინგი და განისაზღვრა დაზიანებული მოსაცდელების აღდგენითი სამუშაოების ნუსხა. ავტობუსების გაჩერებებზე განისაზღვრა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოების დისლოკაციის ადგილები და მოხდა სამონტაჟო წერტილების მონიშვნა. გაეროს გრანტის გამოწვევა „მდგრადი სატრანსპორტო სისტემების შექმნა“ ფარგლებში მომზადდა საპროექტო წინადადება „ქალაქ ქუთაისში მდგრადი და უსაფრთხო სისტემის შექმნა“. ქონების

რეგისტრაციის და განკარგის განყოფილება აგრძელებს მუშაობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში მოქცეული უძრავი ქონებების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და აშ.) აღრიცხვა, რეგისტრაცია, განკარგვის საკითხებში. განყოფილებაში შემოსულია 2242 ერთეული კორესპოდენცია, რომლებზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება, 110-ზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. სახელმწიფოს საკუთრებიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 4 ერთეული უძრავი ქონება, (მათ შორის 1 ერთეული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით) მთლიანი მიწის ფართი შეადგენს 11625კვ.მ. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 6 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი 1466კვ.მ); მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქონების რეგისტრაციის, რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების, უძრავი ქონების გაყოფა-გაერთიანებისათვის მომზადებული და გამოსული იქნა 42 ერთეული სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე დარეგისტრირდა სკვერი 5 ერთეული (ფართობი - 2882 კვ.მ); გზის ნაწილი 7 ერთეული (ფართობი -1727კვ.მ) ტროტუარი 16 ერთეული (ფართობი - 3021კვ.მ); ავტოსადგომი 1 ერთეული (ფართობი - 211 კვ.მ) დაზუსტდა 13 ერთეული რეგისტრირებული მონაცემი. 2022 წლის 9 თვის პერიოდში გამოცხადდა 17 ელექტრონული აუქციონი, გასხვისდა 15 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის: 14 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 1 (ერთი) ერთეული მიწის ნაკვეთი მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობით) ბიუჯეტში მობილიზებულია 3 202 675.00 (სამიმილიონორასორიათასექვსასსამოცდათხუთმეტი). მნიშვნელოვანი, რომ უძრავი ქონებების (როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ასევე შენობა-ნაგებობების) შეფასება და განკარგვა ხდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჩაირიცხა 2 281 453.00 (ორი მილიონ ორასოთხმოცდაერთიათას ოთხასორმოცდაცამეტი) ლარი, მისაღებია მესამე კვარტალში გასხვისებული ქონებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი (მიწიდან 50%; შენობიდან 35%), რაც დაახლოებით შეადგენს 761525.00 (შვიდასსამოცდაერთიათასხუთასოცდახუთი) ლარს. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში უძრავი ქონების გასხვისებიდან დაგეგმილი იყო 7,2 მლ.ნ ლარის შემოსავალი, რომელიც შეიცვალა და გაიზარდა 9,5 მლ.ნ ლარამდე. ელექტრონული აუქციონით, იჯარის ფორმით განიკარგა ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ბ-ში მდებარე ქონება, 2 (ორი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 153000 ლარს. ორი წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული ქონების მეშვეობით მობილიზებული იქნება 306 000.00 (სამასექვსიათასი) ლარი. ელექტრონული აუქციონის ფორმით ასევე მოხდა გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემა, რაც ასევე დამატებით შემოსავალს შემოიტანს ბიუჯეტში. 2022 წლის იანვრიდან მომზადებული იქნა 43 ერთეული განკარგულების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გაცემის თაობაზე. მათ შორის: 1. ორი განკარგულების პროექტი უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გაცემის შესახებ; (მუნიციპალური განვითარების ფონდს, ბაღის მშენებლობისათვის;) 2. ორი განკარგულების პროექტი მოძრავი ქონების უსასყიდლო თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. (ოპერას როიალი; ავტომანქანები) 3. ორი განკარგულების პროექტით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული იქნა უძრავი ქონება. (სპეცსერვისებს კომპოსტირების მიწა; გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჰაერის მონიტორინგის სადგურის განსათვსებლად) 4. ორი

განკარგულების პროექტით სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული იქნა უძრავი ქონება. (საზოგადოება ქუთაისელს თამარ მეფეზე ფართი ელ. დამტენებისათვის ფართი) 5. ჩვიდმეტი ერთეული განკარგულების პროექტით აღებული იქნა თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გაცემის თაობაზე. (კიბეები; ოპპა; ტ/კ რიონი; ლიბერთი; მაგთი; ტრანსიმპექსი; შპს ნო-ნე 2022; საქ.ბანკი; საქ.ფოსტა;მ. ახვლედიანი. სანაყინე მაცივრები) 6. ორი ერთეული განკარგულების პროექტით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის თაობაზე. (თიბისი ფეის და შპს ფლამინგოს ცვლილება). 7. ერთი ერთეული განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის პირობებით საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, (გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონება). 8.ორი ერთეული განკარგულების პროექტი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობა. 9.ორი ერთეული განკარგულების პროექტი გარე რეკლამის განთავსების რეკლამის გაცემისათვის. 10. რვა ერთეული განკარგულების პროექტი საპრივატიზაციო ობიექტების გეგმისა და ნუსხის დამტკიცების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ მომზადდა და შუამდგომლობა გაეწიათ ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, სახელმწიფო საკუთრებაში მცხოვრებ მოქალაქეებს ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. 19 (ცხრამეტი) ოჯახს საკუთრებაში გადაეცათ ფართები (1065,63 კვ.მ) სადაც ფაქტობრივად ცხოვრობენ. 2022 წლის იანვრიდან ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გაფორმებული იქნა 26 ხელშეკრულება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციების შედეგად, მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან განყოფილებას დაემატა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად განსაკარგი ფართების პრივატიზაციის საკითხი. პირველი ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გაიცა 30 (ოცდაათი) ერთეული საკუთრების მოწმობა. აღსანიშნავია, რომ პირველად განხორციელდა საბინაო სამმართველოს კუთვნილი, არაპრივატიზებული ფართის პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაგეგმილია არაპრივატიზირებული ფართების რეგისტრაცია და განკარგვა, რაც დამატებით შემოსავალს შემოიტანს ბიუჯეტში. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან დაკავშირებით, ასევე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უმოქმედო საწარმოების ამუშავების კუთხით. ჩატარებული იქნა 4 პარტნიორთაკრება. „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი და წარედგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების, საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა

და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შ ე ს ა ხ ე ბ“ რომელიც მიღებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №13 დადგენილებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების შესაბამისად, სამსახურის მიერ მომზადდა 4 (ოთხი) ერთეული სამართლებრივი აქტი და დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთის საზღვარი 6540 კვ.მ-ზე, წარმოებაშია 2 (ორი) ერთეული განცხადება. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2022 წელს იანვრიდან სულ შემოსულია 131 განცხადება/მომართვა, დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა 35 ერთეულზე, გაცემული იქნა 35 საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა, 31 ერთეულმა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე კომისიაში შემოსულ განცხადება/მომართვებზე კომპეტენციის ფარგლებში გაცემული იქნა წერილობითი პასუხი. ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 31 447,11 ლარი.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო ნუსხას ემატება ერთი ქონება, კერძოდ, რუსთაველის გამზირის N21-ში მდებარე ნახევრადსარდაფი, 39,75 კვადრატული მეტრის ფართობის, რომელიც საკუთრებაში დაირეგისტრირა მერიამ და ახლა ვამატებთ ნუსხაში, შემდგომი განკარგვის მიზნით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „უფრო კონკრეტულად, ეს არის საბინაო სამმართველოს ქონება, რომელიც საკუთრების უფლებას ვერ გაცემდა დღევანდელი მდგომარეობით, არ მოხდა თავის დროზე პრივატიზება და დღეს უკვე მერიის ბალანსზე დარეგისტრირდა."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N57 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიო ჯელატოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მიო ჯელატო" ბანკთან კომუნიკაციის შედეგად ითხოვს იჯარის ვადის გაზრდას, რადგან ურთიერთშეთანხმებით თუ ბანკს დააკმაყოფილებს იჯარის ვადა, მასზე გაცემს სესხს. თქვენი თანხმობის შედეგად 10 წლის ვადით გაეზრდებათ იჯარის ვადა, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 8050 ლარის ოდენობით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 7 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ, ლაშა შალამბერიძემ და კობა გურულმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიო ჯელატოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია ასილიზაციის, იგივე შლამგამწმენდ მანქანაზე, რომელიც შეძენილ იქნა იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტით და მერიის თანადაფინანსებით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია ჭომის დასახლებაში, გესთან გაკეთებულ სტადიონზე, რომელიც უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას, მოვლა-პატრონობის პირობით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 8 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გიორგი კილაძემ და ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- „ევროკავშირისა(„EU") და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP") ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის " ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი-ს შექმნის მიზნით კონკურსის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში („UNDP")-სგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ეს არის UNDP-ის პროგრამა, 2022-25 წლებში 225000 ევროს ნაწილ-ნაწილ მიიღებს ქუთაისი, ეს არის საგრანტო პროექტი,

რომლითაც იგეგმება ელექტრომობილების დამტენების მონტაჟი, მზის პანელების მოწყობა და ასე შემდეგ."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ნინო ჩიკვაშვილი, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ევროკავშირისა(„EU") და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP") ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის " ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი-ს შექმნის მიზნით კონკურსის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში („UNDP")-სგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი